

აკაკი წერეთლის სამეცნიერო კვლევა

მანანა ფხაკაძე

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Manana.pkhakadze!tsu.3du.ge
<https://doi.org/10.52340/lac.2023.20>

აკაკი წერეთელი ისტორიული და მითოლოგიური პოემებისა და თხზულებების შექმნისას ინტენსიურად ეცნობოდა პირველწყაროებს და ხალხურ ზეპირსიტყვიერებას, საგულდაგულოდ სწავლობდა მათ. ასე მაგ. . პოემის „თორნიკე ერისთავი“ დაწერისას მას უსარგებლია გიორგი მთაწმინდელის ცნობილი ისტორიულ-მხატვრული თხზულებით „ცხოვრება იოჯანესი და ეფთიმესი“, ქართველი წმინდანებისადმი მიძღვნილი კრებულით მ. საბინინის რუსული თარგმანით (1872), ტიმოთე გაბაშვილის 1852 წელს გამოქვეყნებული „მომოსვლით“, სომეხი ისტორიკოსის ასოლიკის (XI ს.) „საყოველთაო ისტორიით“ და ა.შ. ეს საკითხი ჯერ კიდევ 1960-იან წლებში ცნობილმა მკვლევარმა პროკლე კეკელიძემ დამაჯერებლად აჩვენა პოემის „თორნიკე ერისთავის“ ტექსტის დეტალური შესწავლის საფუძველზე (კეკელიძე 1960) და ჩვენც შევიტანეთ ზოგიერთი დაზუსტებები და დამატებები (ფხაკაძე 2011: 433 - 442).

ამჯერად დავინტერესდით აკაკი წერეთლის „მედიას“ კომენტარებით. როგორც ცნობილია, მსოფლიო ლიტერატურაში დიდია ინტერესი არგონავტების თქმულებისა და მისი ერთ-ერთი მთავარი გმირის მედეას სახისადმი, რომელიც ბერძნული მითოლოგიის ქალებს შორის ყველაზე პარადიგმატული და პოპულარულია და რეცეფციებისათვის მწერლებს ამოუწურავ იმპულსებს აძლევს.

აკაკი ტრილოგიის („მედია კოლხიდაში“, „მედია ელლადაში“ და „მედია სამშობლოში დაბრუნებული“) დაწერის შემდეგ აპირებდა ვრცელი სამეცნიერო კომენტარების დაწერას (წერეთელი 1957: 493), მაგრამ მხოლოდ დრამის პირველი ნაწილი „მედია“ გამოაქვეყნა (1893-1895) და დაურთო კომენტარები (წერეთელი 1957: 491 შმდგ.).

აკაკი წერეთელი ივანე მაჩაბლისადმი მიწერილ ერთ კერძო წერილში ამ დრამაზე აღნიშნავს: „ოთხი წელიწადი მეტი მარტო მასალების შეკრებასა და მოგროვებას მოვუნდი.“ (წერეთელი 1926: 127). მიუხედავად იმისა, რომ არგონავტების თქმულება და მედეას სახელი აერთოვის არის ნახსენები ძველ ქართულ მწერლობაში, არგონავტების თქმულების პირველი

ლიტერატურული დამუშავება ქართულ ლიტერატურაში XIX ს-ის კლასიკოსს აკაკი წერეთელს ეკუთვნის.

შემიძლია ვივარაუდო, რომ ტრილოგიის დანარჩენი ნაწილებიც ისეთივე პათოსითა (დიდებული წარსულის განდიდება) და ქართველი ქალის პატრიოტული სულისკვეთებით იქნებოდა დადღასმული, როგორც დაწერილია აკაკი წერეთლის “დრამტული ნაწერი ლექსად „მედია““. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, მედეას ასეთი მხატვრული სახის ინტერპრეტაციას ქართულ ლიტერატურაში (ლევან სანიკიძე) აკაკიმ დაუდო სათავე.

„მედიას“ არცთუ დიდი მოცულობის კომენტარების მთავარი პათოსი აკაკის ის რწმენაა, რომ ისტორიამდელი („ისტორიის წინასწარ“) თქმულებების და მითების სამშობლოდ თუმცა საბერძნეთი ითვლება, მაგრამ ისინი ბერძნებმა სხვა ქვეყნებიდან გაიტანეს, შეისისხლხორცეს და თავისებურად გადაკეთებული და „ფერცვლილი“ უკანვე დააბრუნეს. ამის დასტურად პოეტს მიაჩნია ძველისძველი მითები პრომეთეოსის და იასონ-მედეას შესახებ, რომლებიც მისი სიტყვებით „აქ შობილან, აქ გაზრდილან და კოლხეთით ასე გადასულან ზღაპრულად ელადაში“ (წერეთელი 1957: 347).

ბერძნების თქმულებით, „მთავარი ღმერთის“ ურჩობისათვის შერისხული პრომეთეოსი კავკასიის ქედზე იქნა მიჯაჭვული და სატანჯველად მიჩენილი ქორი თუ ორბი მას გულღვიძლს უწიწვნიდა. ეს ამბავი საქართველოშიც და მთელ კავკასიაშიც, სხვადასხვა ვარიანტებით იყო გავრცელებული. განსხვავება კი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში პრომეთეოსი ამირანის სახელით იყო ცნობილი. აქვე აკაკი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ბერძენი მწერლების მტკიცებით, პრომეთეოსი კავკასიაში ამარანტის მთაზე იყო მიჯაჭვული. ამასთან დაკავშირებით მას მოჰყავს აპოლონიოს როდოსელის (ძვ.წ. III ს.) ცნობა, რომლის თანახმადაც მდინარე ფაზისი გამოდიოდა ამარანტის მთიდან, სადაც პრომეთეოსი იყო მიჯაჭვული: „რა მთა არის ეს ამარანტი, ბერძნებისაგან მოხსენებული, რომ დღეს აღარ ვიცით“- სვამს კითხვას აკაკი და თავადვე პასუხობს: „ეს ის მთა არის, რომელსაც ჩვენი ზეპირსიტყვიერება „ამირან-მთას“ ეძახის და სადაც ამირანი იყო მიბმული“ (წერეთელი 1957: 491-492).

მედია-იასონის თქმულება კიდევ უფრო მეტად ამჟღავნებს ქართული სინამდვილიდან წარმომავლობას, მასში მოხსენებული კოლხური ადგილების თუ ქალაქების სახელები „ყურის ერთი მოკვრით“ თითქოს უცხო უნდა იყოს, მაგრამ ყველა მათგანი, აკაკის აზრით, ბერძნულად უნდა იყოს „გადაჩიქორთებული“. ამის დამტკიცებას აკაკი მდინარე „ფაზისით“ იწყებს. ამ ბერძნული სახელწოდების რიონიდან წარმომავლობა, მისი ცნობით, ადვილად მტკიცდება,

თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ ეს მდინარე იღებს სათავეს ფასის მთისაგან და რომ ამ სათავეში მას ფასის წყალს ეძახიან.

ქართულ ძირს გამოყოფს აკაკი „მედიას“ სახელიდანაც (ის „მედეას ნაცვლად იყენებს ფორმა „მედიას“). VIII საუკუნემდე დედაკაცის ცნების აღმნიშვნელი სიტყვა „ქალის“ ნაცვლად (მომდინარეობს არაბული „ქალიმ“-დან) საქართველოში გავრცელებული იყო სიტყვა „დია“, რომლისგანაც წარმოდგება სიტყვა „დიასახლისი“ და კნინობითი „დიაცი“. დღესაც შეიძლება ისეთ პირებთან შეხვედრა, რომლებსაც ჰქვიათ „კაცია“ ანუ „მე ვარ კაცი“, „ქალია“ ანუ „მე ვარ ქალი“ და რატომ არ შეიძლება -კითხულობს აკაკი, რომ სახელი „მედიაც“ არსებულიყო. ეს ქართული სახელი ბერძნულად „მედეად“ გადაკეთდა და აკაკის ცნობით, ასეთი გადაკეთების ბევრი მაგალითი არსებობს. კონკრეტულად ასეთ მაგალითად ის ასახელებს მდინარის ბერძნულ სახელწოდებას -„ჰიპიუსს“, რომელიც ქართულ ენაზე ცხენისწყალს გულისხმობს. სამკურნალო ბალახი „მოლი“, რომელსაც, მითის ცნობით, მედეა აგროვებდა, აშკარად ქართულ „მოლს“ შეესაბამებოდა და ა.შ. (წერეთელი 1957: 492-493).

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კიდევ ერთი ტერმინი, რომელიც წმინდა ბერძნული წარმომავლობისაა და აკაკის პირიქით, ბერძნულიდან გადმოქართებული აქვს. ეს არის სიტყვა „არგონავტები“, რომელიც აკაკის წარმოდგენილი აქვს როგორც „არგონავტები“. ასეთი ნაივური შენიშვნებიც აქვს ამ მცირე მოცულობის კომენტარებში დიდ პოეტს, მაგრამ მე რამდენიმე ყურადსაღებ შენიშვნაზე შევაჩერებ ყურადღებას.

აკაკის კომენტარების განხილვისას, მათში უკეთ გარკვევის მიზნით, საჭიროდ ჩავთვალე ამ კომენტარებისათვის წამემძღვარებინა შესბამისი დრამის ფრაგმენტები, რომლებმაც მათი დართვის საჭიროება განაპირობებს. ქვემოთ მომყავს ეს ფრაგმენტები და მათთან შესაბამისობაში განვიხილავ აკაკის კომენტარებს.

კოლხეთს ჩამოსული იაზონს მჭედელი ასე აცნობს თავის ვინაობას: „ვინ ვარ და ქლიბი, / შავ მთას ხომ ხედავ? ამის გადაღმა/ დიდ ხეობაში ვცხოვრობ დიდ თემად/ და განთქმულია ყველგან ჩვენი ხმა-“ (წერეთელი 1956: 189). კომენტარის თანახმად. „ქლიბები“ ბერძნული სახელწოდება „ხალიბების“ შესატყვისის წარმოდგენდა და იმ ძველქართულ ტომს ეწოდებოდა, რომელიც ერთ ხეობად კოლხეთში ცხოვრობდა. ჯერ კიდევ ესქილეს (ძვ. წ. 525-456) ხალიბებთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ რკინის მოხელე ეს ტომი რკინის იარაღს აკეთებდა, „ რომელსაც ქლიბი ჰქვიათ“ და ელადაში გაჰქონდა გასაყიდად.

ციტირებული ტექსტის მომდევნო ნაწილში ქლიბების ანუ ხალიბების საქმიანობა უფრო დაწვრილებით არის აღწერილი და აქ ისიც უნდა განვიხილოთ, როდესაც ადგილობრივ მჭედელს იასონი ეკითხება, თუ რითი არის სახელგანთქმული მათი თემი, ის პასუხობს:

„რითი?- მჭედლობით! ჩვენ ერთი მთა გვაქვს,/ „ჭედისი“ არის მისი სახელი,/

რკინის გული აქვს, რკინის მარღვები,/ გარს ახვევია მთელი სოფელი,/ ის არის ჩვენი ყველას მრჩენელი,/ ხვრელები შეგვყავს, ვაცლით რკინის გულს,/ გამოგვაქვს და მით სხვადასხვანაირს/ ვაკეთებთ ხოლმე ფოლად-რკინეულს“ (წერეთელი 1956: 189).

ამ ციტირებულ ფრაგმენტთან დაკავშირებით იმავე კომენტარში აკაკის მოჰყავს შემდეგი სახის განმარტება: „დღესაც არის ისევე ჩვენში, რაჭის მაზრაში ერთი მთა. გული რკინის მადნის აქვს და უხსოვარი დროიდან ირგვლივ მცხოვრებნი მჭედლობის მეტს არას აკეთებენ. ამ მთას ჰქვია „წედისი“ ანუ ჭედისი (წერეთელი 1957: 494).

წედისელი რკინის ოსტატები რომ მჭედლობის მეტს არას აკეთებდნენ, ეს რაჭის რეგიონში კარგად ცნობილი ფაქტი იყო და ის აკაკიმ თავისი კომენტარით ქვეყნის სხვა კუთხეებსაც გააცნო. ამავე დროს ამ კომენტარში ყურადღებას იქცევს მოსაზრება „ჭედისის“ „წედისისგან წარმომავლობის შესახებ. ამ მოსაზრებას, დღესაც რომ არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა, ეს ჩანს ქართული მეტალურგიის ისტორიის ცნობილი სპეციალისტის ნ. რეხვიაშვილის მონაცემებიდანაც. „ნაჭდი“ და „ნაჭედი“ რკინების ურთიერთმიმართების განხილვისას, ის ტერმინ „წედისის“ წარმომავლობასაც ეხება და ფაქტობრივად იმეორებს აკაკის მოსაზრებას: „ნაჭდი რკინა... არ ნიშნავს ნაჭედ რკინას, სახელით „ნაჭდი“ მიღებული უნდა იყოს მიმღეობა „ნაწდი“-ს, ნაწიდის ფორმისაგან „ჭ“-ს „წ“-თ შეცვლის გზით, ამგვარი ახსნა თვით ნაჭდი რკინის მიღების წესს სავსებით რეალურად გამოხატავს, ვინაიდან რკინის „მონაჭვდა“ ფაქტობრივად წიდიანი რკინის გაწმენდას, გამოწიდვას წარმოადგენს... აპრიორი, შეიძლება თვით „ჭედვა“- წედვისაგან გამომავალი სახელი იყოს და გეოგრაფიული სახელი წედი, წედისიც მას უკავშირდებოდეს“ (რეხვიაშვილი 1964: 130).

აკაკი თავის კომენტარებში ასევე ყურადღებას აქცევს კოლხური ოქროს მოპოვების წესს. „აპიან. 150 ქ.წ., ადგილობრივი მცხოვრებლები კოლხიდაში ცხვრის ტყავებით იჭერდნენ ოქროს სილას და ეს იყო ოქრომატყლოვანი ვერძი“ (წერეთელი 1957: 494).

აქ ბოლო ფრაზა „და ეს იყო ოქროსმატყლოვანი ვერძი“ აკაკის იმის განსამარტავად კი არ მოჰყავს, რომ კოლხები ოქროს სილას ამ ოქროსმატყლოვანი ცხვრის ტყავებით იჭერდნენ, არამედ იმის საჩვენებლად, რომ ცხვრის ჩვეულებრივი ტყავებით ოქროს მოპოვებას რეალური საფუძველი აქვს.

აქვე არ შეიძლება ოქროს სილის მოპოვების წესთან დაკავშირებით არ აღინიშნოს ერთი ეთნოგრაფიული მონაცემი, რომელიც 40-იან წლებში დადასტურდა. 1946 წელს ეთნოგრაფმა ლ. ბოჭორიშვილმა სვანებისგან ჩაიწერა ცხვრის ტყავით მდინარეში ოქროს მოპოვების კოლხური წესი, რომელიც რეალურად ადასტურებს აპიანეს ცნობას ძველ კოლხეთში ოქროს ამ წესით

მოპოვების შესახებ. აღნიშნული წესს ასეთი სახე აქვს : „ფიცარზე გაჭიმულსა თუ სახვაგვარი ხერხით გაშლილ ცხვრის ტყავს წყალში ჩააფენდნენ...ტყავის ბეწვიანი მხარე ზემოთ უნდა ყოფილიყო მოქცეული“.. „ბეწვი ოქროს დაიჭერდა და წყალი კი გადაივლიდა“, „სველი ტყავი ოქროს კენჭებს მიიწებებდა“. რადგან ოქრო უფრო მძიმეა, ვიდრე სილა, ამიტომ „ქვიშა ზევით რჩება და ოქრო ძირს ჩადის“. განსაზღვრული დროის შემდეგ ტყავს ამოიღებდნენ და გასაშრობად გაშლიდნენ, გამშრალ ტყავს დაბერტყავდნენ და „ოქროს კენჭებს გადმოყრიდნენ“. (ბოჭორიშვილი 1946: 285).

ამ მონაცემის თანახმადაც, კოლხეთში ოქროს მოპოვების ისტორიული სინამდვილე ექვს არ უნდა იწვევდეს. რეალობად მიიჩნეოდა იგი შუა საუკუნეებშიც, როცა ევროპულმა სამთამადნო მრეწველობამ ხელახლა აღადგინა ანტიკურ ხანაში აღწერილი თუ დამუშავებული და შემდგომში მივიწყებული მრავალი ტექნიკური ხერხი და ოქროს სველი მოპოვების ერთ-ერთ საშუალებად ტყავები და ქსოვილები გამოიყენა. აღორძინების ხანის დიდი გერმანელი ტექნოლოგი გიორგი აგრიკოლა (1494-1555) თავის ენციკლოპიდიური ხასიათის ნაშრომში „სამთო საქმისა და მეტალურგიის შესახებ“ აღნიშნული წესით გერმანიაში ოქროს მოპოვების ტექნოლოგიის აღწერისას შემდეგ შენიშვნას ურთავს; სწორედ ამავე მიზნებით ძველი კოლხები ცხვრის ტყავებს ათავსებდნენ მალაროების წყალსამრეცხაოებში და იღებდნენ მაშინ, როცა მათში ბლომად დაგროვდებოდა ოქროს ბზინები. აქედანაა პოეტების თხზულებებიც კოლხების „ოქროს საწმისზე“. ეს შენიშვნა ილუსტრირებულია გრავიურით, რომელზეც გამოხატულია სცენა, სადაც კოლხეთში ჩამოსული არგონავტები ეცნობიან მალაროდან გამომდინარე წყლის ნაკადში ჩაფენილი ცხვრის ტყავით ოქროს მოპოვების პროცესს (აგრიკოლა 1962: 318). მართალია, შემდგომ ხანებში ოქროს მოპოვების აღნიშნული წესი ევროპაში მივიწყებული იქნა, მაგრამ ისევ დროებით: ხაოიან ზედაპირებზე ოქროს დაჭერის პრინციპის მემკვიდრეობითმა ჯაჭვმა გაგრძელება ჰპოვა მე-20-ე საუკუნეში (1918 წლიდან) გრავიტაციული მეთოდის სახელწოდებით. ამ მეთოდით ქვიშრობის ოქროს ძირითადი ნაწილი რბილი საფენების საშუალებით მოიპოვება რაბებში და ეს საფენები ისეთსავე ფუნქციას ასრულებს , როგორსაც ოდესღაც ცხვრის ტყავი. თვით რაბი წარმოადგენს გრძელ დახრილ ხის ღარს ფსკერზე დაფენილი ხაოიანი ქსოვილით , რომელზედაც გადის წყლის ნაკადი ოქროშემცველი პულპით. ხაოიანი ქსოვილების და მათთან ერთად ცხვრის ტყავის საშუალებით ოქროს მოპოვების პრინციპი დაფუძნებულია დახრილ სიბრტყეზე მიმდინარე წყლის ნაკადში სუსპენზირებული სხვადასხვა მინერალური ნაწილაკის მოძრაობის სიჩქარეთა სხვაობაზე. თანამედროვე წარმოება ოქროს დამჭერ ქსოვილად იყენებს თექას, მაუდს, ხალიჩას და ა.შ , რომელთა ზედაპირს გარკვეული ხაოიანობა ახასიათებს, რაც

შეეხება ცხვრის ტყავს, ის ციმბირის ერთ-ერთ ოქროს მომპოვებელ საწარმოში იქნა გამოცდილი. თავდაპირველად გამოცდა არავითარ ტექნიკურ გაუმჯობესებას არ ისხავდა მიზნად და ჩატარებული იქნა იმ მიზნით, რომ დაეზუსტებინათ, რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს ოქროს საწმისის ლეგენდა. მიღებული შედეგები გასაოცარი აღმოჩნდა, ცხვრის ტყავზე გაცილებით მეტი ოქრო დაილექა, ვიდრე ხაოიან ქსოვილზე. ვინაიდან ტექნოლოგიური თვალსაზრისით ცხვრის ტყავის ხაოიანობა ნაკლებეფექტური უნდა ყოფილიყო ხელოვნურ ქსოვილთან შედარებით, მიღებული შედეგები ცხვრის ტყავსა და ბეწვში არსებულ ცხიმს - ლანოლინს მიაწერეს, მართლაც, ლანოლინით გაჟღენთილმა ხელოვნურმა ქსოვილმა კიდევ უფრო მეტი ოქრო ჩაიჭირა. რასაკვირველია, ძველი კოლხები გრავიტაციული და სელექციური დასველების პრინციპები თეორიულ კანონზომიერებებს თანამედროვე მეცნიერების დონეზე არ იცნობდნენ, მაგრამ ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად არ შეიძლება არ შეემჩნიათ ოქროს დაჭერის ხარისხზე ისეთი ფაქტორების გავლენა, როგორცაა წყლის ნაკადის სიჩქარე, დაფენილი ტყავის დახრილობის კუთხე, სიახლე, ბეწვიანობა და ა.შ.

ერთ-ერთი ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყარო, რომელიც უკვე პირდაპირ ადასტურებს მედეას ქვეყანაში ოქროს სარეწების ფუნქციონირებას, სტრაბონის (ძვ. წ. I ს.-ჩვ. წ. II ს) “გეოგრაფიაა”.

სხვა ავტორებისაგან განსხვავებით, ეს ავტორი კარგად იცნობდა კოლხეთს და სავსებით შესაძლებელია, რომ გარკვეული ცნობები არგონავტებთან და ოქროს საწმისთან დაკავშირებით მას უშუალოდ კოლხებისაგან მიეღო¹. ეს კარგად ჩანს მისი “გეოგრაფიის” ფრაგმენტებიდან: “აიას ხომ ქალაქ ფასისთან აჩვენებენ, ხოლო აიეტი სარწმუნოა, რომ კოლხეთში მეფობდა. ეს სახელი ხომ ადგილობრივია. მოგვითხრობენ გრძნეულ მედეას შესახებ და იმ ქვეყნის სიმდიდრეზე- ოქროზე, ვერცხლსა და რკინაზე, რაც იყო ლაშქრობის მიზეზი” (ანტიკური კავკასია 2010: 207, I, 2, 29)

აკაკი წერეთლის კომენტარები ბერძნების „ეა“ ქალაქს, სადაც წლის განმავლობაში მცენარე ჰყვავდა, იგივე ნაქალაქევი, ანუ ზღაპრული „იას“ ქალაქს მოიაზრებს, სადაც ზღაპრის სიტყვით, „ღვთისავარ“ მონადირე მოვიდა და ნახა, რომ ზამთარში იქ ია და ვარდი იშლებოდა და დაასკვნის, რომ ბერძნული „ეა“ და ჩვენებური „ია“ ერთი და იგივე უნდა იყოს“ (წერეთელი 1957: 492)

¹ კოლხურ სამყაროსთან ავტორის სიახლოვეზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ როდესაც მითრიდატე ევპატორი ამ ქვეყანაზე გაბატონდა, მან კოლხების “მმართველად და გამგებლად” გამოგზავნა მოაფერნესი-სტრაბონის დედის ბიძა (ანტიკური კავკასია 2010: 207, I, 2, 39).

სტრაზონის გადმოცემითაც, აიას “ჩვენება” ფასისთან მხოლოდ ადგილზე, კოლხეთის ტერიტორიაზე შეიძლებოდა და “მაჩვენებელიც” ცხადია, რომ კოლხი უნდა ყოფილიყო. ის, რომ სტრაზონი აიეტის სახელს ადგილობრივად მიიჩნევს, ერთმნიშვნელოვნად მის თანადროულ კოლხეთში ამ სახელის ფართო გავრცელებაზე მიუთითებს. ამასვე მოგვიანებით ადასტურებს ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი (536-582 წწ), რომელიც თავის თხზულებაში ამ სახელით ხშირად მოიხსენიებს ერთ-ერთ ლაზ წარჩინებულს (გეორგიკა 1936: 63). ციტირებული ფრაგმენტიდან ისიც ჩანს, რომ კოლხებს მედეაც ახსოვდათ (სამწუხაროდ, მათმა მონათხრობებმა, რომლებიც კოლხთა მეფის ასულის ისტორიის ადგილობრივ ვერსიებს შეიცავდა ჩვენამდე ვერ მოაღწია); მაგრამ საინტერესოა, რომ იმავე კოლხი მთხრობელების ან ბერძენი თვითმხილველების ინფორმაციის საფუძველზე სტრაზონმა შეძლო, არგონავტების კოლხეთში ჩამოსვლის ნამდვილი მიზეზი აეხსნა (მოგვითხრობენ..... ოქროზე, ვერცხლსა და რკინაზე, რაც იყო ლაშქრობის მიზეზი).

შესაბამისად, დრამა „მედიას“ კომენტარები დიდი პოეტს წარმოაჩენს როგორც დაკვირვებულ და ერუდირებულ მკვლევარს. განხილული მასალა გვიჩვენებს, რომ აკაკი წერეთელი არა მარტო დიდი პოეტური, არამედ მეცნიერული კვლევის ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული.

ლიტერატურა:

(აგრიკოლა 1962) Агрикола Г., *О горном деле и металлургии*, 12 книг, Москва, Академия наук
(ანტიკური კავკასია 2010) *ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია*. ტ.1, წყაროები, თბილისი, ლოგოსი

(ბოჭორიშვილი 1946) ბოჭორიშვილი, ლ., *ოქრომჭედლობა სვანეთში* , საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. - თბილისი, (N5), 1946. - ტ.7. - გვ.283-289

(გეორგიკა 1936) *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტ. III , თბილისი, საქ. სსრ მეცნ. აკადემია

(კეკელიძე 1961) კეკელიძე პროკლე, *აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები*, თბ., თსუ
(რეხვიაშვილი 1964) რეხვიაშვილი ნ. *ქართული ხალხური მეტალურგია*, თბილისი, მეცნიერება

(ფხაკაძე 2011) ფხაკაძე მანანა, ჩაგუნავა რაული, აკაკი წერეთლის “თორნიკე ერისთავის” ისტორიული პირველწყაროები, კლასიკური რეალიზმის ეპოქა : მე-19 საუკუნის კულტურული და ლიტერატურული ტენდენციები, მასალები, თბილისი 2011, 433 - 442

(წერეთელი 1926): წერეთელი აკაკი, ჟურნალი „ქართული მწერლობა“, №2-3.

(წერეთელი 1956): წერეთელი აკაკი, დრამატული ნაწერები ლექსად, ტ. VI, თბილისი, საქ.სრ სახ. გამომც.

(წერეთელი 1957): წერეთელი აკაკი, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, ტ. VI, თბილისი, საქ.სრ სახ. გამომც.

რეცენზენტი: პროფესორი თამარ ახვლედიანი